

ფოტოც გაჰყიდა. შროიანობა, უეჭველია, კარგი საქმეა, მაგრამ ფულზეა კი ათასი შროიანობას გვირჩევენ; კიდევაც რომ არ გვერჩიოს—რომ არ არის—რას იქ!.. ათი შაურისხუმრობა ფულია?—ამას გარდა იქვე აპირებს უ. ბეთანშიელი „ს უ რ ა მ ი ს ც ი ხ ი ს“ და სხვა წიგნების გამოცემას;—ესეც კეთილი საქმეა.—ჩვენი მხრით მიულოცავთ იმას ამ საქმის დაწყებას და ვინაობით, რომ რიგიანი და ჩვენი თვის უფრო საჭირო წიგნები გამოცეცეს.—

პოლიტიკა.

ზრანთა.

პარტი, 4 (16) აგვისტოს. ზუზუნ ნაოლგონ I-ის დღეობის გამო გამოვიდა დეკრეტი, რომლითაც პოლიტიკურ და ზოგიერთ სხვა დამნაშავეებზე მიენიჭებოდა სრული პატიება. ამ დეკრეტში სხვათა შორის სწერია: მიეცემა სრული ამნისტია პოლიტიკურ საქმეებში დანაშაულისათვის, აგრეთვე იმათ, ვისაც ბეჭდვის და ყრილობის კანონების წინააღმდეგ დაუშავებიათ რამ.—

პარტი, აგვისტოს 17-ს. ზაზეთები კმაყოფილი არიან ამნისტიაზე. „Liberte“ ამბობს, რომ ეს ამბავი ძალიან კარგად მოხდა, რადგანაც ახლა საზოგადოების აზ-

გორც ჩვენში!—ტყუილია, მკითხველო!...

როცა ჩვენ ამ ნაირ სასტუმროს მივახლოვდით (მერმანიაში და ნემეცურ შვეიცარიაში ამას Gartenwirthschaft-ს ეძახიან, ეს ნიშნავს „ბაღიან-სასტუმროს“), უფროსმა ქალმა მიხრა, რომ დღეს ჩვენ ცეკვას ვაპირებთ და იმედი გვაქვს, ჩვენ მოლხენაში თქვენც მონაწილეობას მიიღებთ. მე გამოუტყდი, რომ ცეკვა ძალიან სუსტად ვიცი და დაუმატე, რომ თავის ტკივილი და უზო-უცელო ტრიალი ერთად ძალიან ძნელად მოთავსდებიან მეთქი.

— ცეკვა ძნელი საქმე არ არის, მიასუხა იმან და თავის ტკივილი, მგონია, თქვენ იმისთვის მოიგონეთ, რომ გსურთ ძალა დაგატანოთ. თუ ასეა და ვნახოთ, თუ გაბედავთ აბა უარის თქმას.

ჩვენ ვიდექით საცეკვაო ოთახის კარების წინ. მუზიკა მფუნუნის პოლკას უკრავდა და მოცეკვავეები აღტაცებით, გაგიჟებულად დააფრიალებდნენ თავიანთი დანიშნულების კაბებს.

მფუნუნის მუზიკა იმ ნაირია, რომ მომკვდარი კაცის სასტუმროსთან რომ დაუკრავთ, ავთომყოფი ლოგინიდან წამოვარდება და ცეკვას დაიწყებს, ანა და ხელების და ფეხების ნძრევით და ბრახა-ბრუხით მინც აიკლებს იქაურობას. ამისთანა მუზიკის მოქმედებას რომ დაუმატოთ ასი, ასოცდაათი კაცი და ქალის ერთბაშად ტრიალი, სიცილი, ხარხარი, და რომ გაიხსენოთ რა ნაირად გარდამდებია მოლხენა.—როგორც მწუხარება—თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ მე თავის ტკივილი და ცეკვის უცოდინარობაც ისე მალე დამავიწყდა, როგორც ყოველიფერი, რაც მე ჩვენ სასწავლებლებში მასწავლეს. და როცა უფროსმა ქალმა კისერზე ხელები მომხვია, მე უარის თქმის მაგიერად, წელზე ხელი მოვაფილე და დანარჩენ საზოგადოებასავით ტრიალი დავიწყე...

...სალამოს ხუთი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ცეკვას თავი დავენებთ. მე მალეობა გარდაუხადე სამივე ქალებს, რომელთაც ვიცეკვე; და ჩვენ ყველამ ერთად შემოუჯექით იმ სუფრას, სადაც ჩემი სახლის პატრონი თავისი ცოლით და ახალგაზდა ქალების დღით ჰივოს სეამდა.

სანამ ჩვენი დალაული საზოგადოება ხმის ამოღებას ძლივს ახერხებს, სანამ ზოგი ჰივოს

რი იყო აღშფოთებული უწყური დატუსაღებადისაგან, მეტადე მაშინ, როდესაც ესეთი ქცევა სრულებით არ იყო თანახმათ სენატის დაწესებების პროგრამებთან. პოლიტიკური დამნაშავეები გამოუშვეს აგვისტოს 15-ს არამტყუ მარტო პარიჟში, პროვინციებშიაც, სადაც გაგზავნეს ბანდები ტელეგრაფით. პოლიტიკურ დამნაშავეთაგან მარტო ლედრიუ როლენზე და როშფორზე არა ერეცელდება ეს ამნისტია, რადგანაც პირველისთვის იყო გადაწყვეტილი სიკვდილი იმპერატორის მოკვლაზე განძახებულბაში მონაწილეობის მიღების გამო; მმართველობა იმის დანაშაულს პოლიტიკურ დანაშაულად არა სთვლის. მეორე (როშფორი) არის დაქვრივი იმის გამო, რომ ვაზეთის გამომცემს—რაშეტასაც; ამიტომ ჯერ ტუსალობის ვადა უნდა გაათავოს და მერე სხვა პოლიტიკური დანაშაულები ამნისტით ეპატიება. მარტო პარიჟის საპრობილეებიდან გამოუშვეს 153 სხვა და სხვა გეარო პოლიტიკური დამნაშავეები.

ამბტრია.

ტრიესტი 10 აგვისტოს. დღეს მოხდა აქ დიდი არეულობა რეკრუტების წილის ყრის დროს. ტრიესტის ვაზეთის სიტყვით, 1500 კაცმა მოიყარა თავი იმ კაზარმის წინ, სადაც რეკრუტებისთვის წილი უნდა ეყარათ და მოახდინეს არეულება, ასე რომ წილის

და ზოგი შაქარ-წყალს ნელ-ნელა მიირთმევს და გულამოჯდომილად ხენეშის, ჩვენ, მგონია, ცუდს არ ვიზამთ, ჩემო მკითხველო, სხვა რამე საგანზე რომ ვიმუსაიფოთ. ჩემ მგზავრებს ჩვენ კიდევ მივეწვიეთ; ნუ გეშინია, ვერ გავგვეცევიან.

როცა ქალი თავის სიყვარულს აღარ მალავს და კაცს პირველჯერ პირში ეუბნება „მიყვარხარო“, როცა კაცი რწმუნდება, რომ ეს სიყვარული გულწრფელია, ის თავის საკუთარ თვალბში უცვთ იზრდება და თავის თავი მთელი ქვეყნის დამმორჩილებლად მიიჩნია. ასეა ეს ქვეყანა: ახალგაზდაბაში, პირველ გამარჯვებას და პირველად მაღალ ქუსლიანი წაღების ჩაცმას კაცზე სრულიად ერთნაირი მოქმედება აქვს.

შემდეგ კი სხვა დრო დგება და, დროს გამოცვლით, ყმარწილსაც გრძნობა ეცვლება: ახალ ჯვარ დაწერილ კაცს უფროა რაღაც ნაირი ნაზობა გაუფდება ტანში, თითქმის ძელებშიაც; ის ავთომყოფი კაცივით აზიზობს, სითბოს და ალერსს ეძებს და ბჩილი რომ წამოტყიდეს, ლოგინში წევბა. რა მოუთმენლათ ელის ის საყვარლის ნუგეშსა, მოვლას და ალერსს, რა საშინლად მსურს იმას, რომ საყვარელი მუდამ მის სასტუმროსთან იდგეს და მის სურვილს გულით მიხვდებოდეს!..

იმ დროს იმას საყვარლის ალერსი მთელი ქვეყნის ფასათ მიიჩნია. ცოლი კი ცივით, უგრძობლად, უგულსყუროთ ექცევა, თითქო გულში ქმრის ტანჯვა უხაროდეს და მარტო ხალხის თვალისთვის აქცევდეს ყურადღებას.

ცოტა ხნის შემდგომ ცოლი ლოგინათ წევბა; მაშინ იმას, როგორც უწინ ქმარს, მთელი მტკაველი სიმაღლე ემატება თავის თვალში; მის ნაზობას, ალერსის და მოვლის სურვილს ბოლო არა აქვს.—ახლა ქმარი, რომელსაც უწინ ცოლის გულგრილობა სულს უხუთავდა, ცოლის აზიზობას უდარდელად უცქერის, და გულში ამ აზრის მეტი არა აქვს რა: „მე ვახლავარ ეს ბიჭო!“...

სასაცილო არ არის ეს!—მაგრამ ნურც იმას დავიფიქვებთ, რომ ამ ბრიყვულ უხერობას ბევრი ბედნიერება მოუტაფავს ძირში და უფრო მეტი უთანხმობა და აყალ-მაყალი აუტეხია ცოლ-ქმრის შუა... სჩანს, რომ კაცის უმეტრებისთვის ღმერთს საშუღარი არ გაუჩენია.

ყრა შეაჩერეს; კომისია, რომელიც წილის ყრისთვის იყო დანიშნული, დამწყვედის ერთს ოთახში და ზოგმა გარედან დაიწყეს ფანჯრებში ქვების სროლა. შემდეგ ამათ დაიწყეს დიდის ვაბით ქალაქში გაუფ-გაუფათ სიარული, ასე რომ ზოგიერთი ვაჭრები იხულებულნი იყვნენ მაღაზიები დაეკეტათ. ზოგიერთები ამ არეულების მომხდენთაგანი პოლიციამ დაიჭირა, მაგრამ სხვები მისდევდნ იმათ და უყვიროდნენ, აგინებდნენ და უსტვენდნ პოლიციის ჩინოვნიკებს. პოლიციის სალდათებმა თოფები გატენეს და სასროლათ იყვნენ მზათ, მაგრამ საქმეს იქამდინ არ მიუწყვიდა.—მეორე და მესამე დღეს ქალაქი დაწყნარდა და რეკრუტების წილის ყრა ისევ განაგრძელეს თავის რიგით.—ამბობენ სულ 13 კაცია ამ საქმისთვის დაქვრივილი.

იტალია.

შლორენცია, აგვისტოს 14-ს. ხმა არის, რომ ტახტის მემკვიდრეს საკოროლოს ნამესტნიკათ ხდიანო და მუდამ შლორენციაში იცხოვრებსო.

ისპანია.

მადრიდი, აგვისტოს 14-ს. ძარლისტების შიკა გამოჩენილა ძატალონიაში, მიჩის ახლოს, მაგრამ ჯარს სრულებით დაუმარცხებია ისინი.—შეადსახარის პროვინციაში გამოჩენილან ცხენოსანი კარლისტები,

ჩვენ დანიშნულებს, პივოს სმის დროს, ასე შორს ვერ არ შეეტოპათ; მაგრამ, რადგანც მათი დაახლოვება დიდი ხნის საქმე არ იყო, ახალგაზდა კაცი სწორეთ ისე იქცეოდა, თითქო ეს არი მაღალ ქუსლიანი ჩექმები ჩაცევა და ჯეო კიდევ გამაღლებას ვერ შეჩვეოდა. საბრალო ყმაწვილი, თითქო გაფრენას აპირებდა, როცა თავის საყვარლის პირისახეზე ცოტოდენ ღიმილს თვალს მოჰკრავდა და წამდაუწყებ ხან წითლდებოდა, ხან თმას ამაყად ისწორებდა, ხან დგებოდა და თავმოწონეთ სუფრის ირგვლივ სეირნობდა... „მს ძეგლი ამბავი მუდამ ახალია“ ვიფიქრე მე; „რაკი ერთხელ შეტოპე ამ ტბაში, შენც სხვებსავით ყელამდი ჩაიფლები; შენ სცდები, ჩემო ყმარწვილო ძმაო; ქალის სიყვარულმა ჩვენ დროში კაცი არ უნდა გამაპრატენოს.—თუ შენ ქალს უყვარხარ, ის შენში იმ თვისებაებს კი არ აფასებს, რომელიც შენ თვითონ, შენი ხასიათის ძალით, შეგიძენია და რომლითაც შენ სრული ნება გექვს თავი მოიწონო. არა კაცში ქალი იმისთანა თვისებაებს ეძებს და აფასებს, რომელიც კაცს მისდა უკითხავად—თვით დაბადებიდან მინიჭებია: ის აფასებს გეარონობას—თუ ქალი გაუნათლებელია, შეძლებას—თუ ხარბია, სილამაზეს კი—ყოველ შემთხვევაში. თუ შენ ეს თვისებები გექვს, თავის მოწონების მაგიერად, შენ წინაპარებს მაღლობა შესწირე და გულწრფელად დილა სალამოს ლოცვაში მოიხსენიე ის, ვინც იყო მიზეზი შენი დაბადებისა, და თან იმასაც ნუ დაიფიქვებ, ვინც შენ ლამაზ ბიჭათ გამოგაყვანა...“

რალა თქმა უნდა, რომ მე ჩემ გულში ვფიქრობდი ამ ნაირათ. ახალგაზდა სალდათისთვის რომ ეს აზრები გამემხილა, ის მოუთმენლათ სიტყვას შემაწყვეტიებდა და მეტყვოდა:

— ისინი მაშინ, დამიჯერეთ, ჩემ შინაზე და სილამაზეზე არ ფიქრობდნენ.—რასაკვირველია, რომ მე იმას უკან ვერ ჩამოუდგებოდი და, რალა ღონე მექნებოდა, უნდა მეპასუხებოდა:

— მაგრამ არც თქვენ ფიქრობდით მაშინ ამ საგანზე...

ატყდებოდა დავა, ყბედობდა, აყალმაყალი და, ვინ იცის, რითი გათავდებოდა. მერწმუნეთ, მკითხველო, მე ძალიან კარგათ ვქენი, ეს აზრები რომ ჩემთვის და თქვენთვის შევიწინებ.

რიცხვით 20 ან 30. ტოლედოს ლაღებში კარლისტების შიკებს ყოვლის მხრიდან სდევნის ჯარი.

—ზრენადღვან მოწერილ ტელეგრაფში არის ცნობა, რომ იქაურ მიტროპოლიტის ძაბიტული ოფიციალურად დამორჩილებია სახელმწიფოს ახალს კანონებს და წყობილობას და მიუტია პირობა, რომ დღეის შემდეგ ვეცდებიო, რომ სამღვდლოება ახალი მართებლობის მხარე დაიჭიროსო.

ანბლია

ლორდონი, 11 აგვისტოს. ლორდ მანსტერმა დახურა დღეს 28 ოქტომბრამდი პარლამენტი და ამ დროს სთქვა, დედოფალი მიქაორიას მაგიერად, გრძელი სიტყვა, რომელშიაც ჩვეულებრივად დიდი ქებით მოიხსენია ყველაფერი, რაც კი გააკეთა პარლამენტმა წლის განმავლობაში.—

რამდენიმე სიტყვა ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე.

სტ. II და უანასენელი.

იყო დრო, როდესაც სწავლას უყურებდნენ როგორც სულის გამამშვენიერებელს სახსარს, როდესაც სწავლა უნდოდათ მარტო სწავლისთვის, ცოდნისთვის და არა ცხოვრებაში გამოსაყენებლათ. შექველია, ესლაც ბევრი არიან ისეთნი, რომლებიც მარტო თავის სუ-

შნლა დაუმატოთ, რომ როგორც ეს თავის მოწონება, ვგრეთვე აზიზობაც უსაფუძვლოა. მს აზრი დაუმტკიცებლათ მივატოვოთ და დაუბრუნდეთ ჩემ საზოგადოებას.

ჩვენი სუფრის ახლო-მახლო იჯდნენ და მუსაიფობდნენ, სეამდენ, ან სკამდენ სხვა და სხვა ნაირი პირები. მრთს სუფრაზე შევნიშნე მე ჩემი ნაცნობი ფრანკურტელი ბანკირი, რომელსაც სწორეთ იმდენი მილიონი აქვს, რამდენიც ობილისში სახლებია; ის თავისი ცოლით, ვაჟით, ორი მშვენიერი ქალით და ორი თუ სამი მეგობრებით ქეიფს ეწეოდა: მეორე სუფრაზე იჯდა ორი ახალგაზდა მხატვარი, თავიანთი სამგზავრო იარაღით; მესამეზე—ერთი წერილი ვაჭრის ოჯახულობა, მესუთეზე—ათიოდე გლეხი და მუშა კაცი; ორი სუფრა ახალგაზდა პრიკაზნიკებით და სტუდენტებით იყო საცე. ზოგი ნამდვილ ნემეცურ ენაზე ლაპარაკობდა, ზოგი ფრანკურულზე, ზოგი მდბიო ხალხის ნემეცურს ხმარობდა, ზოგი ანგლიურსაც; ერთ მოშორებით დადგმულ სტოლიდამ რუსული ხუმრობები მოისმოდა იქ მყოფი ქალების სილამაზეზე და მათ ცოტოდენათ შინაგან ღირსებაზე... მრთი სიტყვით, ამ სასტუმროში იმ დღეს არეულ-დარეული იყო ერთმანეთში გეარონობა, შეძლება, ღირსება და ხასიათი. უფრო შესანიშნავი კი ის იყო, რომ ეს უსწორ-მასწორობა აქ არავის არ აკვირებდა, ასე რომ ძალიან ხშირათ ორი და ხან სამი სუფრის შუა გაცხარებული, თავისუფალი მუსაიფი იმართებოდა.—

ჩვენ თითქმის მთელი საათი მოუნდით მოსვენებას და ამ საათის განმავლობაში ძალიან იშვიათათ ვიღებდით ხმას.

ბოლოს უმფროსი ქალის დანიშნულმა ხენეშით და კენესით გაიხსენა, რომ რვა საათზე ის შრანკურტში უნდა დაბრუნდეს და კაზარმაში უფროსებს გამოეცხადოს. რასაკვირველია, ეს ჩვენ ყველას გვეწყინა, ამიტომ რომ ის ძალიან მხიარული და სასიამოვნო მომუსაიფე და შემქცევი იყო ჩვენთვის, და უფრო იმიტომ, რომ მისი წასვლა მშვენიერ ქალს მოაწყენდა. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ სამხედრო სამსახური პრუსიაში ხუმრობა არ არის. ცოტა ხნის შემდგომ, ჩვენ გავისტუმრეთ ახალგაზდა სალდათი და დიდი სიმწუხარე და სამძიმარი საეძლათ გავატანეთ;



ლიერი თვისებების გასამშვენებლათ სწავლულნი; ამით, რასაკვირველია, კუჭი არ აწუხებს, თავის დედ-მამის, ან წინაპარების შენაძენის იმედი აქეთ და ამიტომ არ მისდევნენ იმისთანა სწავლას, რომელიც პირდაპირ ცხოვრებაში გამოადგება კაცს.—საზოგადოთ კი ეხლა მეცნიერებას ისე უყურებენ, როგორც ცხოვრების გამოუმჯობესებელს სახსარს და ამიტომაც განათლებულ ქვეყნებში იმისთანა საგნებს მიუქცევს ყურადღება, რომლებიც ყოველი კაცის ცხოვრებაშია გამოსადეგი, მაგ. მეურნეობა, კაცისა და ცხოველების აგებულების ცოდნა და საზოგადოთ ბუნების კანონის გამოკვლევა, მედიცინა, ტექნოლოგია და სხვ.—შველა ეს საგნები საჭიროა ყოველი კაცისთვის; განსაკუთრებით კი იმისთვის ვისაც პირდაპირ ბუნებასთან აქვს საქმე. მაშასადამე ჩვენი მდებარე ხალხისთვის, რომელსაც უმთავრესათ ბუნების კანონებთან აქვს საქმე, რადგან ის მიწის მუშა ხალხია, ყველაზე უფრო საჭიროა ამ ნაირი საგნების ცოდნა. ჩვენი აზრით, ჩვენი სახლობა შკოლების დანიშნულებაც ის უნდა იყოს, რომ გარდასცეს ხალხს ამისთანა ცხოვრებაში გამოადეგი ცოდნა; მე დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი დიდი სიამოვნებით გაგზავნის თავის შეილებს ამისთანა შკოლაში, რადგანაც ბევრთა დედასთან, რომ ის ტყუილ-უბრალოთ არ დაკარგავს იქ დროსა.—

იმის საცლომ ალბათ მიხვდა, რომ ამისთანა ძნელი და შორი გზისთვის ეს საგძალი არ ეყოფოდა და, გამოთხოვების დროს, ჯაფის ამტანი ძალა ჩაბერა გულში... ასე მე იმითამ ვფიქრობ, რომ აბა ტუჩს სხვა რა აზრით მიაბეჭდდა ის ტუჩებზე, გამოთხოვების დროს, ახალგაზდა სალდათს, თუ არა გულში ძალი ჩასაბერავათ?...
 წამავალი სალდათი რომ გეაცლიეთ, ჩვენ ხელახლად „ბალიან სასტუმროში“ დავბრუნდით და იქ, ცოტა ხნის შემდგომ, ვახში მივიტოვებო. ჩვენი მუსაფი რაღაც ნაირათ აღერდით იყო:—ორი სამი სიტყვის მეტს ვერაინ ვერ გამოთქვამდა, თითქო ყველას ენა დაბმული ჰქონდა; როცა მოსამსახურემ ჩვენი არჩივი მოგეტანა, მუსაფი სრულიათ შესწყდა,—ეს გასაკვირველიც არ არის: დამშულ კაცს რა ლაპარაკის თავი აქვს, როცა წინ საქმელი უდგია? ამ მიზეზით ჩვენ ყველანი გაჩუმებულათ სუფრას შევეკცევოდით. მაგრამ, ჩემო მკითხველო, მე მართა პირი მქონდა საქმლით ვაკევებული, და არა თვალები და ტენი. მაშასადამე ვახშიათ როცა ვიჯექი, მე ადვილათ შემეძლო ნაცნობების ცქერა და მათი ყოფაქცევის შენიშვნა.
 მხლა ერთი კიდევ გარდაუხვიოთ ჩვენი საგნიდან—რა ვქნა, ეს ჩემი ჩვეულებაა, და ვინ არ იცის, რომ მოვალეს უფრო ადვილათ გაექცევა კაცი, მინემ ჩვეულებას.—
 ჩვენი მამაპაპური, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვა, დედა-ბებიური ჩვეულება მოითხოვს ქალიდან, რომ საზოგადოებაში იმან, რაც შეიძლება, ნაკლებათ უნდა სქამოს. ამას უწინ ის მნიშვილობა ქონდა, რომ ჩვენ, ქალები, ადვილი სარჩენი ვართო, ნუ გეშინიათ, შეგვირთეთ,—ბევრი ხარჯით არ დაგაღარბებთო. მხლა კი რაღა მნიშვილობა აქვს ამ ჩვეულებას, რომ დამკიროს კაცმა, ვერ ვიტყვი და ვერ მიგხვდება. ჩვენ დროში ცოლის რჩენის ხარჯი, საქმელში კი არა, ტანისამოსში და სტუმრობაში გადის: მე ორი-ოდე იმისთანა ქალებს ვიცნობ, რომ რვა დღეს უსაქმლოთ დარჩებიან, ოღონდ კი იმათ ახალი კაბა, ან მოსასხამი შეიძინონ, კვირადღეს საყდარში გამოსაფენათ. ღღეს ჩვენში ქალის მადა კი არ აშინებს ქმრებს და საქმროებს, არა; მათი შემაშინებელი ქალის კაპრობა და კეკლუცობაა. ამ აზრით, მე; ხუმრობა გაშვებთ, ვურჩევ ჩვენ ქალიშვი-

იმისთვის რომ შკოლამ ასრულოს თავის დანიშნულება და გარდასცეს ხალხს, როგორც ხევით ვთქვით, ცხოვრებაში გამოადეგი სწავლა, საჭიროა, რომ იმაში წერა-კითხვისა და ანგარიშის გარდა, ასწავლიდნენ ცოტაოდნათ მაინც მეურნეობასა, ოჯახობას და ზოგიერთ ხელოსნობას. ეს საქმე აი როგორ არის სხვა ქვეყნებში: თითქმის ყოველ შკოლას აქვს პატარა საბოსტენი და საბაღე ადგილი, სადაც თითონ ყმაწვილებს, რასაკვირველია, მცოდნე მებოსტენე, და მებაღის ხელმძღვანელობით, მოჰყავთ სხვა და სხვა ბოსტენული წვანილები, ყვავილები, ცოტა პური, ცოტა ღვინო და სხვ. მებაღეს დაჰყავს ყმაწვილები ბოსტანში და უხსნის იმათ რანაირათ ამოღის, ეთქვათ, პური, რა ნაირი მიწა უნდა, როგორ უნდა ამუშაოს ის კაცმა, რომელი იარაღები სჯობია სახნავათ, სამკავათ, საღვწავათ; აგრეთვე უხსნის იმათ ბოსტენელობის მოყვანას და სხვ. შველა ეს ძალიან ეხალისება ყმაწვილს: ის სიამოვნებით უდგებს ყურს თავის მასწავლებელს, ხალხისანთ ჰკიდებს ბარს ხელსა და მუშაობს; ამ რიგათ ის თავისდა შეუთინავეთ შეიძენს იმისთანა ცოდნას, რომელიც ყოველთვის გამოადგება შემდგომ ცხოვრებაში.—

ამისთანა შკოლების გაწყობა ეხლა ყოველ სოფელში, რასაკვირველია, ძნელია; მაგრამ, ზოგიერთ სოფლებში რომ ეხლაც მოხერხდება, ამაში კი დარწმუნებული ვარ. რა არის ლებს შიმშილით თავს ნუ იკლავენ და მაგიერათ გათხოვებამდი მაინც მოიკავონ თავი მიმბაძავი და დამლუპავი კოპრობიდან. ეს საქმროს უფრო ადვილათ აუხვევს თვალს....
 ეს აზრები მომივიდა მე თავში, როცა ჩემი მეზობლების მადიან ქამას უყურებდი; იმათ დარდი არა ჰქონდათ—არაინ შეაშინოს ჩვენმა მადამო, და ჩვენი „ლორმუტლობით“ (როგორც ჩვენში ქალიშვილის მადას ეძახიან) საქმრო არ დაეკარგათო. წვენი, ხორცი, ხილი, სასმელი ისე გასაღდა, რომ სუფრაზე ცარიელი თებების, ძელების და სტაქნების მეტი არა დარჩენილა რა, და ეს სტაქანი და თებებებიც ისე საფუძელიანათ იყო გაწმენდილი, რომ მათ გასარეცხათ მოსამსახურეებს, არა მგონია, რომ ბევრი ჯაფა დაჰირდებოდა. ისეც კი უნდა ვთქვა, რომ არც კაცებს და გვიკლია ხელი სასმელ-საქმლისათვის: განა შეიძლება, რომ კაცი ქალს უკან ჩამორჩეს?
 ცოტა ხნის შემდგომ, ჩვენ გავსწიეთ სასერიანოთ იმ გზით, რომელიც ძროხბერგიდან ლომბურგს მიდის. ეს გზა ისე ლამაზი და სასიამოვნო არ არის, როგორც ზოდენიდან ძროხბერგს, მართალია, მაგრამ არც სრულიად უშნოა: ამას არც ხეები და არც ოღრო-ჩოღროები აკლია, არც ტყე და არც ყანა, ასე რომ აქ სერიანობასაც თავის სიამოვნება აქვს კაცისთვის.—
 წინ ორი უნცროსი ქალი მიდიოდა და გაცხარებულათ უჩურჩულებდნენ ყურში ერთმანერთს რაღაცა საიდუმლოებს.—მათი უსათუოთ გულითადი აღსარების შეწყვეტა მე არ მინდოდა,—ეს ერთი; ამას გარდა ცოდვა იყო საბრალო დანიშნული ქალის მართა მითრევა მწუხარებაში,—ეს ორი; მესამეთ,—გამოეტყდები,—ეს მშვენიერი და დარდიმანი ქალი მე უფრო მიმიზიდავდა, ვიდრე წინ მიმავალი მესაიდუმლოები.... რაკი ერთხელ გამოეტყდი, გულწრფელობას ხელს არ შეუშვებ და აქვე დაუმატებ, რომ მართა ამ მესამე მიზეზმა მიმიყვანა მე დანიშნული ქალის გვერდში; ორი პირველი მიზეზი მე ჩემი სინილისის დასამშვიდებლათ მომივიდა თავში, როცა ჩემ მეზობელს კლაფი მივართვი და ლაპარაკი დაუწყე:—რა ვქნათ, ამ ნაირი კაცის ბუნება!
 ჩვენს უკან ჩემი სახლის პატრონები და ქალიშვილების დედა მოდიოდნენ; იმათ მიხედვდა ჩემი სახლის პატრონის ვაჟი—რეა ან

საჭირო ამნაირი შკოლისთვის? პირველათ სახლი, მერე საბოსტენი ადგილი სახლთან, მერე მასწავლებელი და ბოლოს ხელოსანი კაცი, რომელმაც ხელოსნობა უნდა ასწავლოს. მხლა გავიხსენოთ—შეიძლება ყველა ამების მოგნა ჩვენში, თუ არა.—
 ზოგან ეხლაც არის გამართული ჩვენში შკოლები, მაშ შკოლისათვის სახლის ძებნა საჭირო არ იქნება; უბრალო, წმინდა, სოფელიური ოროთახიანი სახლი ძალიან კარგი იქნება ყოველი შკოლისთვის.
 შკოლასთან ეზო უნდა ჰქონდეს საბოსტენით და ბაღისთვის; თუ ორი-სამი სოფელი ერთათ მოიყრის თავს და შკოლას გამართავს, მე მგონია, იცეც შეიძლება, რომ ამ შკოლას ნახევარი, ან ერთი დღიური მიწაც შესწიროს საბოსტენით და ეს ადგილი სრულიად საქმრო იქნება შკოლისთვის; ამდონი ადგილი, მე მგონია, მართა ერთი სოფელი რომ იყოს, არც იმას დააკლდება ბევრი და სარგებლობა კი, უეჭველია, იქნება; ყმაწვილებს შეუძლიათ ერთ დღიურზე ცოტა ეზოც გააშენონ, ცოტა პურიც, სიმინდიც, ბოსტენულიც და სხვ.
 შველაზე უფრო ძნელი საქმე ამნაირი შკოლისთვის იმისთანა მასწავლებელის მოგნაა, რომელმაც ჩვენ გლეხებზე უკეთ უნდა იცოდეს ენახის მოვლა, პურისა და ბოსტენელობის მოყვანა, აბრეშუმის მოშენება და სხ.
 ამ გაჭირვებიდან აი როგორ შეიძლება გამოვიდეს კაცი: ჩვენში არის რამდენიმე სამა-

ცხრა წლის ბაშვი, რომელიც ჩვენ სირბილ-სირბილით წამოგვეწვოდა, გამოგვეთამაშებოდა ცოტას და მერე შეჩერდებოდა თავის დედმამის მოსაცდელათ. მრი ქალი ისევე თავიანთ საიდუმლოებს უამბობდნენ ერთი მეორეს. ჩემი სახლის პატრონები და მათი მგზავნი ხან შინაურ და ხან საზოგადო საქმეებზე მუსაფობდნენ და ხან ჩვენ ორს ხუმრობით მოგვეკიოდნენ, რომ საბრალო სალდათის წასვლით ამ ნაირათ სარგებლობა ჩვენი მხრით დიდი უსამართლობააო, და თან დასმენას გვირდებოდნენ.
 — სირცხვილი არ არის, გვიძახოდნენ ისინი, სიყვარულში ამ ნაირი ორგულობა და უპირობა?! რა შეჩვენებული დროა ეხლანდელი დრო! ჩვენ დროში ქალი იმნაირათ იყო ერთგული დანიშნულთან, რომ მის გარდა სხვასთან ცეკვას და სერიანობას კი არა, ლაპარაკსაც არ ფიქრობდა...
 — ძალიან დარწმუნებული ხართ, რომ „არა ფიქრობდა“? ვკითხე მე.
 — მერ ბედავდა მაინცა!
 — ეს სულ სხვა საქმეა.—
 — მძრისთვის კი სულ ერთია და...
 — ეს ქმარზე ჰკილა: კაცია და გუნება.
 ჩემი მგზავნი ამ ხუმრობებს ყურადღებას არ აქცევდა.
 — რას გადაგვეკიდენ ამ თქვენი ღალატით, უთხარი მე იმას ხუმრობით, ლამის მართლა გორგულობის სურვილი მოგვეცენ...
 — ხუმრობა იქით იყოს, ჩემი აზრით, ღალატის სურვილს, უმეტეს ნაწილათ, კაცის ეჭვიანობა უნდა აძლიერდეს ქალს.
 — შეიძლება, შეიძლება...
 — შეიძლება კი არა, უეჭველია. როცა ცოლსა და ქმარს კავშირათ აზრებისა და ხასიათის ერთობა არა აქვთ, როცა იმათ საერთო მიზანი არ უძვეთ წინ, რასაკვირველია, რომ მათში დაუნდობლობა იქნება. სადაც დაუნდობლობაა, იქ სიყვარულს ალაფი არა აქვს, იქ ქალს ღალატისთვის გაბედვის მეტი არა სჭირია რა.
 — თქვენ ძალიან ადრე დაგიწყიათ ამ საგანზე ფიქრობა.
 — თქვენ ეს არ მოგწონთ?
 — ძალიან მომწონს.
 — როგორ არ ვიფიქრო ამ საგანზე, როცა მთელი ჩვენი ბედნიერება და ცხოვრება ამაზედ არის დამოკიდებული?

გალითო ფერმები, რომლებშიაც, რასაკვირველია, უკეთესი სახსრებით და უფრო მომატებული ცოდნით მოჰყავთ სხვა და სხვა მიწის და ხის ნაყოფები. ამ ფერმებიდან გამოსული შაგირდები, მე მგონია, ჯერ ჯერობით ივარგებენ ზემო მოხსენებული საქმისთვის; შემდგომში, თუ შკოლას შეძლება ექნება, რასაკვირველია, შეუძლია იქირაოს უფრო მცოდნე მეოჯახე.—
 შველაზე უფრო ადვილი, ჩემი აზრით, ამ შკოლაში ხელოსნობის სწავლა იქნება; ყოველ სოფელში რომელიმე ხელოსანი კაცი მოიპოვება ხოლმე, ან მჭედელი, ან ხურო, ან ხარატი, ან ხარაზი, ან მეჭურჭლე და ან სხვა რომელიმე. შველი ხელოსანი მისცემს ნებას, რომ რამდენიმე შაგირდებმა იარონ იმასთან და ისწავლონ იმის ხელობა.—თუ სოფელს შეძლება ექნება და ერთს ქობს დაუდგამს ამ ხელოსანს შკოლის ეზოში, რომ იქ იმუშაოს თავისთვის, ეს კიდევ უკეთესი იქნება.—
 რასაკვირველია, რომ ეს ყოველი ისე ადვილი გასაკეთებელი და მოსახდენი არ არის, როგორც ადვილათ იწყება: მე დარწმუნებული ვარ, რომ ამნაირი შკოლის დაარსების დროს ბევრი იმისთანა დაბრკოლება შეხვდება კაცს, რომლის გარდაბიჯება პირველში ძნელი იქნება; მაგრამ საქმეც ის არის, რომ ზოგიერთმა დამაბრკოლებელმა შემთხვევამ არ შეაჩეროს კაცი, განსაკუთრებით მაშინ

— მაგნაირ ერთობას თუ ელით, ბევრი წყალი ჩივილის თქვენ მდინარეში, სანამ თქვენ მაგ ბედნიერებას მოესწრებით.
 — შინ იცის... შთქვათ მე კიდევაც ვერ მოვესწრო; განა ეს შეუძლებელი საქმეა ჩვენ დროში? შთქვათ, რომ ეხლა, წრეულს, მერმისს და მის შემდეგ ეს შეუძლებელი საქმე იყოს; ჩვენ სახეში მაინც არ უნდა გეჭონდეს ამ ნაირი მიზანი? რაც დღეს ჩვენ შეუძლებელათ მიგვაჩნია, ათი-თუთხმეტი წლის შემდგომ, ნამდვილი და ძლიერ შესაძლებელი საქმე იქნება. ცოტა რამეა განა ეხლა ესეთი ასრულებული, რაც ოცი წლის წინეთ კაცს მოუფიქრებელი ეგონა? შოტემ ტყულათ კი არ თქვა, რომ კაცისთვის შეუძლებელი არა არის რაო.
 — ამაში მეც ვეთანხმებით.
 — მაშ რაღათ ამბობთ, რომ ცოლქმარის აზრის და ხასიათის ერთობა შეუძლებელია?
 — მე ვამბობ—ძნელია მეთქი. თქვენი აზრისა და ხასიათის კაცი ადვილი შესახლოვია?
 — რასაკვირველია რომ არა: ყოველ კაცსა და ქალს ძალიან იშვიათათ შეხვდება თავის მსგავსი, ან ტოლი კაცი.
 — შთქვათ ეხლა, რომ თქვენ შეხვდით თქვენი აზრის და ხასიათის კაცი, მაგრამ ვაჭირვებულ მდგომარეობაში; შეირთათ?
 — იმ წამშივე, ამას რაღა კითხვა უნდა.
 — მე ამ პასუხს ველოდი თქვენგან. მაგრამ საქმე ხომ მართა შერთვა არ არის. მერმე რა! ჩვენ ვიმუშავებთ, ვიშოვით რასმე და ამ ნაირათ ვიცხოვრებთ. მე დიდი ხანია მიჩვეული ვარ ჩემი თავის მოკავებას. მე კანონათ მაქვს: არაფერ ჩვეულებას არ ავიჩენ იმისთანას, რომლის დაკმაყოფილება მუდამ ჩემი საკუთარი შრომით და მოგებით არ შემეძლოს. მე ძალიან ცოტა მჭირია....
 — საუბედუროთ ვგრე თითქმის მართა თქვენ იქცევით; მე იშვიათათ მიწახვს მაგნაირი ხასიათი—ეს პირმოთნეობა არ გვეგონოთ. იმასაც დაუმატებ, რომ მე დარწმუნებული არა ვარ, გაატანთ ბოლომდი მაგ თქვენი კანონით, თუ ორი სამი წლის შემდგომ დაივიწყებთ იმას. ახალგაზდა ქალებს—როგორც კაცებსაც—ბევრი ამ ნაირი აზრები აქვთ....
 — შავატან ბოლოს თუ არა, ეს არც მე



როცა ამისთანა სასარგებლო საქმის ასრულებას აპირებს. —

ჩვენ მუდამ უნდა გვექნოდეს სახეში ის, რომ სხვა ქვეყნებში დიდი ხანია გამოართულია ამისთანა სახელოსნო და სასწავლებელი სკოლები ერთად და კიდევაც კარგათ მიდის. სხვაგან თუ გამოართულია — რატომ ჩვენში არ გამოართება? სხვაგან თუ კარგათ მიდის და სარგებლობა მოაქვს — რატომ ჩვენში არ წავა კარგათ? — რასაკვირველია, ამ საქმეს ცოტადენი საშუალებაც უნდა; თავის თავის სასარგებლოთ, მე მგონია, საზოგადოებამ ცოტა რომ დახარჯოს — არ იზამს ურიტო საქმეს და შემდეგში არ ინანებს... ზოგს, უეჭველია, მართებლობაც შეეწყვეა ამ კეთილ საქმეს და — ასე ამ რიგათ შედგება პირველში რამდენიმე სკოლა; თუ პირველთ დაარსებული სკოლების საქმე კარგათ წავიდა, მეტი, იმედია, სხვაგანაც გახსნიან. —

სხვა და სხვა ამბავი

ძუძუთუ ვიყავი ყმაწვილების გამომოყენა ლონდონში. 12 ივლისს გაიხსნა მულისში ლონდონის სიხლოვს პირველი მუდუმწავარი ყმაწვილების გამოყენა; ამ გამოყენაზე აუარებელმა მაყურებლებმა მოიყარა თავი. გამოყენილი იყო 400 ისეთი

ვიცი მეცდები კი ძალიან. მართლა, ხომ ძალიან კარგი კანონია ჩემი კანონი?

— ცოტა მადროეთ, ქების-შესხმას დაიწყებო, შრანკურტის პირველ მაიდანზე ხალხს შევკრებ, შილდერის ძეგლზე შევეფორთხლები და იქედან ქების შესხმას ხმა მალა წაიკითხავ. აი როგორ დავიწყებ: „აქედით მას მანგდლოსთა დახნი მეთქი“!

— იხუმრეთ, რამდენიც გინდოდესთ, მე კიდევ ვიტყვი, რომ ეს ძალიან კარგი და სასარგებლო კანონია. მინც ამ კანონს მტკიცეთ ასრულებს, ის მუდამ თავისუფალია...

— მისაც ძალია აქვს და ხეირიანი, გამოსადეკი შრომა უსწავლია.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. შევლამ იმისთანა რამე უნდა ისწავლოს, რაც ცხოვრებაში იმას, ან მის მახლობელს გამოადგება. მინც ოხერი მიაკვდება უსარგებლო და ცხოვრებაში გამოუღებვარ სწავლას?

— ის ოხერი, ვისაც მეტი სწავლის შეძლება არა აქვს...

— მს ძნელია, ძალიან ძნელია, გამოთქვა წყნარათ ჩემმა მეზობელმა და ჩაუქრდა.

— მინც ამ შეუძლებლობას გარდარჩენია, ის ვერ დაეხმარება? მკითხა იმან ცოტა ხნის შემდგომ.

— რატომ ვერა, თუ სურვილი და მოხერხება აქვს. ამაჲ მისი საკუთარი სარგებლობაც მოითხოვს; რაც უფრო შეძლებული და განათლებულია საზოგადოება, რომელშიაც კაცი ცხოვრობს, მით უფრო მტკიცე, სასიამოვნო და სანატრელია მისი საკუთარი მდგომარეობაც. აქედან სჩანს, რომ მართლაც თქვენი კანონი საკმაო არ არის კაცის ბედნიერებისათვის.

ხეირიანი კაცი თავისი მახლობლის დამხმარე და ფესზე დამყენებელი უნდა იყოს. ის მუდამ უნდა აუკეთესებდეს თავისი საზოგადოების ზნეს, აზრსა და ცხოვრებას, უნდა ცდილობდეს, რომ იმის მახლობლებიდან ხეირიანი, შემძლე და პატიოსანი კაცები გამოდიოდნენ. მართლაც ამნაირი კაცების საზოგადოებაში შესაძლებელი და სანატრელია კაცის სიცოცხლე...

მე შემიჩრდი და იქითაქეთ მოვიხედე. მაცხარებულ ლაპარაკში ჩვენ თურმე ჩქარა გველოდა შორს ჩამოგვეტოვებინა ჩვენი თანამოგზაურები, ისე რომ ჩვენ წინ ორი ქალიშვილი რომ მიდიოდნენ, ისინიც უკან დაგვიჩვენოდნენ და ესლა იმათი ხმაც აღარ გვესმოდა.

ყმაწვილი, რომლებიც შესანიშნავნი იყვნენ სილომანით, მოყვანილობით და ჯანმთელიობით. მისდევნა დედებმა მოიყვანეს თავისი შვილები გამოსაფენათ, რომ ბევრს უარი უთხრეს უადგილობის გამო. საჩუქრები აი რანაირათ იყო დაყოფილი: 75 მან. და ვერცხლის თასი საჩუქრათ იმას, ვისაც ჰყავდა ყველაზე ლამაზი და ჯანმთელი ვაჟი, რომელიც ამას გარდა წელიწადზე უხნესი არ უნდა ყოფილიყო. — 75 მან. იმას, ვისაც ჰყავდა, ამ ხნისე, ყველაზე ლამაზი და ჯანმთელი ქალი. — 38 მან. იმას, ვისაც ჰყავდა ყველაზე უფრო ლამაზი და ყველაზე უფრო მძიმე ყმაწვილი, რომელიც აგრეთვე წელიწადზე მეტი ხნის არ უნდა ყოფილიყო. — შაწვილებს გარდა, სუფთა და ლამაზი აკვნებისთვისაც იყო საჩუქრები დანიშნული.

თავისამკელელობა შრანკიაში. იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა ანგარიში, რომლიდანაც სჩანს — რამდენს კაცს და რამისთვის გამო მოუკლავს თავი შრანკიაში 1867 წ: სულ 5,011 კაცმა მოიკლა იმ წელს თავი; ამ რიცხვში 1591 კაცმა ტენის ავთოყოფობის გამო; 988 სხეულის წყალბის გამო; 927 სიყვარულისა, შურისა, გარყენილობისა და სიმთვრალის გამო; 604 შიშაური უსიამოვნობისა გამო; 554 სიღარიბისა, ან უცბათ გაღარიბების გამო. —

— დაესდეთ მინდორზე, უთხარი მე ჩემ მომუშაოფეს, და ჩვენებს მოუტალათ.

— მოცდას კაცი ყოველთვის მოვსწრება, მაგრამ, როგორც გინდოდესთ, დაესდეთ.

ჩვენ გზის ახლო საუკეთესო ხე ამოვარჩიეთ და იმის ძირში დაესხედით.

— რა ნაირი მოქმედება აქვს ცალკე პირზე საზოგადოების უხეირობას და უფუნურებას; თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ერთი შესანიშნავი შემთხვევიდან, რომელიც მე ესლა მახსენდება, ჩვენ რომ აქ ტყეში მართლაც ვართ:

„შარშან ერთი ახალგაზდა ქალი წავიდა ერთ პატარა ქალაქში თავის ბიძისა და ბიცოლის სანახევათ. იქ გაიძინა იმან ბიძის სახლში იქაური საზოგადოება; სხვა ნაცნობებთ შორის იყო ერთი იქაური ჩინოვნიკი უ. ნ.; ეს კაცი ორმოცი, ორმოცდა ხუთი წლის იქნება; იმის პირის სახეში, ზეთიან თვალებში, გავლესილ ცხვირპირში თავმოწონების მეტი არა სჩანს რა. იმის მიხრა-მოხრას და სიარულს რომ შეხედოთ, გეგონებათ, რომ ეს კაცი საბუქნაოთ ემზადება და მუხლებს იზინჯავს; ხელები იმ ნაირათ უქირავს მუდამ, რომ იფიქრებთ, ეს არის დონიჯებს შემოიყრის და წამოიძახებს: „შემხედეთ, რა დარდიმანდი ვარ“! როგორიც კაცი, იმ ნაირი ხასიათიც: ტრაპანი, შემძრომი და ცრუპენტელა. მართი სიტყვით, ღმერთს იმისთვის არც უნდა არც ხეირი მიუნიჭებია და, თქვენ კარგათ იცით, რომ, რაც უფრო უწინა და უხეირო კაცია, იმას თავის თავი უფრო დიდათ მიაჩნია. ამ ნაირია სწორეთ უ. ნ.

„მართალია, თქვენ რომ ამისთანა კაცი შეგზედეს, ორ სიტყვასაც არ აღირსებთ. მაგრამ პატარა ქალაქში ისიც კაცათ ითვლება. ზასაკვირველი არ არის, რომ იმ ახალგაზდა ქალმა იმას ისე მოექცა, როგორც თქვენ, მაგალითათ, მე მექცევით.

„მეც უნდა ვითხრათ, რომ ის ქალი იყო გაზდილი ერთს ქალების საშუალოს სასწავლებელში. სწავლის დასრულების შემდეგ ის იმავე სასწავლებელში ყმაწვილების ზედამხედველათ იყო რამოდენიმე ხანს. — შარშან იდგინეთ ესლა ამ ნაირი გასათხოვარი ქალი, თქვენსავით თავისუფალ მიხრა-მოხრას დაჩვენული; წარმოიდგინეთ, რომ იმას ცხოვრება მართლაც თავის სასწავლებელის ფანჯრიდან უნახავს, წარმოიდგინეთ კიდევ, რომ ეს ქალი

შორბა
 მბრლიხიდან ფორტა მიდის. ორ შაბათობით შარეანში და ჯულფისაკენ. — სამ შაბათობით ბაქოს გუბერნიისაში და შემანაში — მსუბუქი ფორტა. — მთხ შაბათობით რუსეთში, მუთაისში — შოთამდინ, მრევანში, ალექსანდროპოლში და ნოვოზიხეთში. — ხუთ შაბათობით — რუსეთში. — პარასკეობით — მუთაისში, ძახეთში და მრევანში. შაბათობით — რუსეთში და შემანაში. — ძვირაობით რუსეთში და მუთაისში.

ბელგრადში.
 დეპეშის გასაგზავნი ფასი მბილისიდან: მუთაისში, ბაქოს, მლადიკავკასს, მორბოს, შოთს, მრევანს, ახალციხეს, ნუხას, შემანას — 1 მან. ასტრახანს, მერჩში, მოსკოვს და მდესას — 2 მან. — შორს, სილნალს — 50 კაპ. — პეტერბურგს, შენეგას, სტამბოლს — 3 მან. — პარიჟს, ლიონს, მარსელს — 3 მან. და 38 კაპ. —

საბილიოვგრაჟიო სნობა.

ახლად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილი. შავკაჲდის მოთხრობა

„კასია-ალაშიანი“
 მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში:

გაერია იმნაირ საზოგადოებაში, სადაც ქალი კაცის ხმის გაცემას თითქმის ვერ ბედავს და თქვენ ადვილათ მიხედებით, რით უნდა გათავებულყო ამ ქალის მოგზაურობა.

„ნ. უწინაც ხშირათ დაიარბოდა იმ ქალის ბიძის ოჯახში; ესლა კი, რაკი დაინახა, რომ ახალ მოსული ქალი იმას თავისუფლათ ექცეოდა, თავი უფრო მეტათ მოიწონა, და ყოველ დღე დაიწყო სიარული; იმ ქვეყანაში, რომელშიაც ეს ამბავი მოხდა, ეს ჯგირს დაწერის ნიშანია, და ორი სამი კვირის შემდეგ მთელს ქალაქში ხმა გავარდა, რომ ნ. ამაღამ ქალზე ჯვარს იწერსო.

„შალის ბიძამ უთხრა ნ. — ს, რომ ამ ნაირი ხმები დადის ქალაქში და, თუ ჩემი ძმის წულის შერთვა არ გინდათ, სჯობია, რომ თქვენ ჩვენთან ცოტათი უფრო იშვიათათ იაროთ, რადგანც ნაცნობობის ერთბაშათ გაწყვეტა ჩემი ძმის წულის სახელს გატეხსო. მინც იცის, იქნება ბიძას კიდევაც სურდა ამათი დაგვირგვინება — ეს ღმერთმა და იმან იცის; — ჩემს მოთხრობაში ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

„ჩემმა ნ. — მარაკი გაიგონა ეს, ერთბაშათ ჩხირი მიატეხა იმ კაცის სახლს, და იმ ნაირათ დაიწყო ქცევა, თითქო მთელი ქალაქისთვის უნდოდა ეჩვენებია, რომ „განათლებული“ ქალი მივიტოვეო. იცით თქვენ „მიტოვებას“ რა მნიშვნელობა აქვს?.. ბიძაც ახირებული კაცია: ადგა და როცა გზაზე შეხვდა, ორიოდე სილა, თუ ჯოხი აჭამა, ამაზე შედგა გამოძიება და ნ. — მათი თაბახი ქალადი გააქრელა იმ ქალის თავისუფალი ქცევის აწერით. „ის ჩემ პირ წინ იცინოდა, ხუმრობდა, თავისუფლათ ლაპარაკობდა, თავისუფლათ ექცეოდაო; მაშასადამე, ჩემზე აზრი ქონდაო.

„იმ ქვეყანაში ამ ნაირი აზრის გამოთქმას გასათხოვარი ქალისთვის სიკვდილი სჯობია, ამიტომ რომ მისი სახელი ტყდება, და ვისაც სახელი გატეხილი აქვს, თუნდა რომ ყველამ იცოდეს, რომ ის სრულიად უბრალო იყო იმ საქმეში, იმას სიხარული ძნელათ ეღირსება მისს სიცოცხლეში.

„მისმე რომ ხანჯალი აელო ხელში და იმ ქალისთვის თითქო მოექცა, იმ კაცს სასჯელი-საგან ეგრავენ ვერ დაიხსნიდა. მითის მოჭრა თურმე უფრო ძნელი საქმე ყოფილა, მინემ წყნარი და გაუთავებელი ტანჯვით კაცის მოკვლა.

მბილისში — მელიქიშვილის და კამბსტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში

მუთაისში — უ. ბერასიმე ძალანდაროვიშვილთან.

შორში — უ. მრისტეფორე მამაცაშვილთან.

ახალციხეში — უ. სტეფანე ბეთანოვთან.

მსურგეთში — უ. მიხეილ მიქაძესთან.

ფასიათი შაურია.

„სურამის ციხე“;

ავრთვეე რუსთველის პორტრეტი, ფალაღედ მოჭრილი სამზღვარს გარეთ. —

მართველ ყმაწვილ კაცს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს შრანციხული ენა. ადრესი იკითხეთ მელიქიშვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე ბებუთოვის სახლებში.

„მს ყველა კარგი: ვინ არ იცის, რომ უპატიოსნო კაცები ყოველ საზოგადოებაში ურევია? საწყენი და გულ-მოსაკლავი ამ საქმეში თვითონ საზოგადოების მოქმედება და ყოფა ქცევა. თქვენ გგონიათ, რომ ამ ამბის შემდეგ უ. ნ. — ს ყველა ნაცნობების სახლის კარები დაეცემა, რომ არც ერთი პატიოსანი კაცი იმას თავს აღარ უქრავდა, რომ ზოგიერთი პირშიაც ჰკიცხავდენ? მართალია, ასე მოიქცეოდა ყოველი განათლებული საზოგადოება. — იქ ეს საქმე კი სულ სხვანაირათ გათავდა: უ. ნ. საზოგადოებაში ისევ ისეა მიღებული, როგორც უწინ იყო; არა თუ უბრალო კაცები, „განათლებულები“ უწინდელივით მისი მეგობრები არიან; საბრალო ქალი კი თითქმის ყველამ მიატოვა...“

მინემ ამ სიტყვებს ვამბობდი, მე თავი დაღუნული მქონდა და ჯოხით ბალახს და ყვავილებს ვაწვავდებდი. მს ჩემი ჩვეულება ყოველთვის, როცა მე ცუდ გუნებაზე ვარ. ამ მიზეზით მე, მოთხრობის დროს, ერთხელაც არ შემხედავს ჩემი მეზობლის პირისახეზე. მოთხრობა რომ გავთავე, ცოტა ხნის შემდეგ ჩემი თანამოგზაურისკენ თავი მივიბრუნე; იმის პირისახე სრულიათ გამოცვლილიყო: ლამაზს, მუდამ მოწითალო ლოყებზე სიწითლის ლანდიც აღარ ჩნდა; თვალებში შიგნიდან სისხლი ამოწოლოდა და გარეთ ცრემლები გამოცვარავდენ; თმა რაღაც ნაირათ აბუშგოდა; ერთი პატარა შავი კავი ყურის წინ გარდმოვარდნოდა და უფრო ფერმჭრთალათ აჩენდა მის სრულიად გათეთრებულ ლოყებსა; ვალურჯებული ტუჩები ცოტათი ლაბა ქონდა დარჩენილი; მაგიერთ კბილები იმ ნაირათ მოექცა ერთმანერთზე, რომ მე შემემინდა, არ ჩამიტვიროს მეთქი.

მე ხმა ამოუღებლათ თავი ჩაღუნე, და ხელახლავ ჯოხით ბალახის ჩიჩქა დაიწვიე.

— Bei Gott im Himmel! (ზეციერ ღმერთს ვფიცავ), წამოიძახა იმან ბოლოს და წამოდა ფეხზე, მე არ მეგონა, ამისთანა კაცები თუ კიდევ სადმე იყვნენ ქვეყანაში!...

შრანკურტე (მინზე) იელისს. **ნ. სკან დელი.** (ზოგი შემდგომისთვის).